№ 95 17 მაისი, ოთხშაბათი 1866—1878 17 მაისი, ოთხშაბათი № 95

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში, № 8.

ᲤᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲚᲕᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან.

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

# ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება გამოცემულს, რუსულს, სომხურს და ებრაულ ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფრებითი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდილი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საagენტოსი)

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 15 მაისს.** რუსებმა შეუკვეთეს ამერიკაში ტორპედები.

მოლაპარაკება არის იმაზე—თუ როდის უნდა შეიკრიბოს კონგრესსი; ამბობენ, რომ კონგრესსი 30 მაისს გაიხსნება; ავსტრია და საფრანგეთი დათანხმდნენ ამაზედ.

**ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 14 მაისს.** რუსის კომისარი დანდუკოვ-კორსაკოვი ძალე ფილიპოპოლში მიდის.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 15 მაისს.** ხვალ სპარსეთის შაჰი მიდის პეტერბურგიდამ.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

### ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ დაწერილებული ანგარიში ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის დამწესებელთა კრებისა, რომელიც მოხდა ამ კვირას, 14 მაისს.

საუბეღურროთ, ადგილის უქონელობის გამო, ამ ნომერში ხსენებულ ანგარიშს ვერ ებეჭდავთ.

მოვიხსენებთ მხოლოთ, რომ ამ კრებაში 16 მეკენჭე დასწრებია და ბევრი ყაყანისა და ბაასის შემდეგ, კრებას 57 ხმის უმეტესობით დაუმტკიცებია ბანკის გამგეობისაგან წარდგენილი შარშანდელი 1877 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. უმცირესობას შეუტანია კრებაში წინადადება, რომ, რადგან ბანკზე ცუდი ხმები ისმისო, ამისა გამო კომისია დავნიშნოთ იმის საქმეებისა და მდგომარეობის გასაჩხრეკათაო; მაგრამ ეს წინადადება არ მიუღიათ და შარშანდელი ანგარიში გაუხილველად დაუმტკიცებიათ.

ხვალ დავბეჭდავთ დაწვრილებით ანგარიშს ამ სხდომისას.

*** ᲑᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ საღამოს Თფილისის საზაფხულო Თეატრში ქართული სცენის მოყვარეთა წარმოადგინეს ანტონოვის „ᲢᲘᲕᲘᲗ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ“ და მოლიერის „ᲪᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲕᲔᲕᲘᲜᲔᲑᲐ.“

პირველის ამ პიესათაგანის წარმოდგენა წავიდა ისე ცუდათ, რომ მეტი არ შეიძლება: ჯერ ერთი რომ თვითონ „ᲢᲘᲕᲘᲗ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ“ ერთობ სუსტი, ერთობ უშნო და უაზრო პიესაა, თუმცა ავტორს სცენის ცოდნა ეტყობოდა; მეორე ეს რომ თითქმის ყველა მოთამაშეთ პირობა ჰქონდათ ერთმანეთისათვის მიცემული—რომ აბა რომელი უფრო ულაზათოთ და უგულოთ ვითამაშებთო! და მართალი გითხრათ, ვერ ვიტყვით—ვინ ვის გადააჭარბა, რადგან ყველამ, თვით Ჯ. ᲣᲘᲤᲘᲐᲜᲛᲐᲪ კი, უხეიროთ ითამაშეს.

მაგიერად, რამდენათაც ეს „ᲢᲘᲕᲘᲗ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ“ წავიდა ცუდათ, იმდენათ მეორე პიესა „ᲪᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲕᲔᲕᲘᲜᲔᲑᲐ“ მშვენიერად და ხელოვნურად აასრულეს ჩვენმა სცენის მოყვარეებმა.

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ მშვენიერად ითამაშეს უფ. ნიკო Ავალიშვილმა პანკრასის როლი და უფ. Ჯ. ᲣᲘᲤᲘᲐᲜᲛᲐ—ᲡᲒᲐᲜᲐᲠᲔᲚᲘᲡ როლი.

ძალიან კარგი იქნება, რომ ჩვენი სცენის მოყვარენი არ ივიწყებდნენ იმას, რომ ნიადაგ, მუდამ წელს ერთისა და იმავე Ზ. Ერისთვისა და ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲘᲡ პიესების თამაშობამ მოაბეზრა საზოგადოება და ურიგო არ იქნება, რომ ამ ორიგინალურ პიესებს, ხან-და-ხან მაინც, ნათარგმნი ამჯობინონ. ჩვენ ვიცით, რომ ქუთაისში უკანასკნელი 30 პიესა არის თუ რუსულიდამ და თუ სხვა ენებიდამ ნათარგმნი და ამით შეუძლიანთ ისარგებლონ.

საზოგადოება ამ წარმოდგენაზე საკმაოთ იყო ასე, რომ იმ ახალგაზდებს, რომელთა სასარგებლოთაც დანიშნული იყო ამ წარმოდგენის შემოსავალი, ცოტაოდენი რამ დარჩებოდათ ხარჯს გარდაია.

*** ᲙᲘᲓᲔᲔ წვიმა, კიდევ ნიაღვარი! ზემოხსენებული ქართული წარმოდგენის დროს, ისეთი ნიაღვარი მოვიდა უეცრად, რომ წვიმის შხაპა-შხუპისაგან მოთამაშეების სიტყვები აღარ გვესმოდა.

„ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲒᲕᲐᲙᲛᲐᲠᲔ, ᲣᲤᲐᲚᲝ!“

*** ᲩᲕᲔᲜ გვიანბეს შემდეგი უბედური შემთხვევა: ერთ ყმაწვილს ეპოვნა ხარფუხში რაღაც შუშა და შინ მიეტანა. დედას წამალი ჰგონებოდა და როცა მეორე თუ მესამე დღეს ავათ გამხდარიყო, დაესხა ამ შუშიდამ ერთი კოეზი და დაელია. დალევა და იმ დედაკაცის სიკვდილი ერთი ყოფილა. ᲛᲔᲢᲧᲝᲑᲐ საწამლავი ყოფილა...

*** ᲣᲤ. ᲢᲔᲠ-ᲒᲐᲒᲝ-ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲐᲜᲪᲘ, ამბობენ, კიდევ აბეჭდინებს თურმე თავის მშვენიერ რუსული ენის სასწავლებელს სახელმძღვანელოს! ჩვენ გვაკვირვებს—სად ჰპოულობს ის იმდენს და ისეთ სულელ ხალხს, რომ პირველი გამოცემა გაუსაღებია?! მაგრამ ეს ადვილად აიხსნება პირველად იმით, რომ დედამიწაზე უმეცარი და ოხრად ფულის გადამყრელი ხალხი ყოველთვის მოიპოვება და მეორედ იმითაც, რომ, როგორც გვითხრეს, უფ. ᲢᲔᲠ-ᲒᲐᲛᲝ მუდამ თავის წიგნებით დატვირთული დაიარება თურმე, სახლიდამ რომ გამოვა, რამდენიმე ეგზემპლიარს ჩაიდებს ჯიბეში და ვინც კი შეხვდება ნაცნობი და უცნობი, ყველას მიაჩეჩებს ხელში...

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

**ᲥᲘᲖᲘᲧᲘ, 10 მაისს.** სწორეთ მესანიშნავია წლეულანდელი გაზაფხული წვიმიანობით.—შესანიშნავია აქეთკენ, სადაც წარსულ წლებში სასხურებლათ ენატრებოდათ ორიოდე ზეციური ნამი, სადაც ყოველ გვარ „საღმრთოებისა“ და „დიდებას“ მაღლა ხელების ტოტინით ასრულებდნენ და სადღაც „წმ. Იაკობის წყალზედ“ გარბოდნენ, რომ იქნება გვეღირსოს რამოდენიმე საათის მაინც წვიმაო,—თორემ Იმერეთ-სამეგრელოში, წვიმების ბუდეში, ეს შესანიშნავი კი არა, შესამჩნეველიც არ იყვეს იქნება.

მარტი კი, სულო ცოდვილო, ისე დაბოლოვდა, რომ თითქმის ერთხელაც თავისებურად არ გარისხებულა: ტაბილის ღიმილით, გულ-გაშლილი

გამოგვეცხადა და პირ-მცინარი, ბრწყინვალე ნათლით შემოსული გაგვშორდა.

მაგრამ გენახათ აპრილი, ამისი მოვალე მთვარით, რა ყოფა დაათია სესხის გადახდის დროს! „მოხსნა პირი ცას“ და დღე მუდამ დაუზარებელად წვიმდა და წვიმდა კოკის-პირულად.

ხევებში, რომლებშიაც ნიალვარი ვინ იცის რეერთი ხანია თვალით არვის უნახავს, ასეთმა ლაზათიანმა მდინარეებმა გამოითამაშეს, რომ ცხენოსნებიც-კი ფონს დაეძებდნენ.

მინდორ-ტყეებს აღდგომა გაუთენდათ: სრულიად უნაყოფო ადგილებიც-კი ბალახებითა და ყვავილებით დაიფინნენ, „ქვაზედაც კი ბალახი ამოვიდა“, ხეებიც შეიფოთლინენ და მსწრაფლ აყვავდნენ. ბაფხეკილ ბუნებას შნო დაედო, გატიტვლებული ფერად-ფერადათ შეიმოსა.

ერთი სიტყვით, ეს იყო დრო მშვენიერი და სასიამოვნო, როდესაც თითქოს ყოველივე საგანი ახლად სიცოცხლეს იღებს.

ეს ერთის მხრივ, მაგრამ მეორე მხრით ამ წვიმებმა ზარალაც მოიტანეს: ბევრი გომები და პატიოსანი დარბაზებიც იმსხვერპლეს: ერთ საწყალ მოსახლეს (საწყლებს ხომ ყველაფერი პირველად ჩააველებს ხოლმე კბილს და ჩაიგდებს ძირს!) გომი თავზე დაენგრა და შიგ მოიტანა ორი თუ სამი ადამიანი; მეორე, შეძლებულ ოჯახი-შვილსაც მსგავსი უბედურება ესტუმრა; ცარიელმა, უადამიანო სახლებმა რამდენმა თქვენი ჭირი წაიღო, ამას ვინ მოსთვლის!

ბევრგან კლდეები მოზვავდა და გზები და წისქვილები გაანადგურა; ალაზნის ნაპირზედ ვიღაც მეძროხეები მიდიოდნენ, მოზვავდა წყლის კიდე და ყირამალა გადავიდნენ არხეინათ მიმავალი მგზავრებიო. ამ წვიმებს ჩვენი „დროებაც“ ვერ გადაურჩა უხიფათოთ: შაბათის, 29 აპრილის ფოჩტით ასეთი გაწუწული ოთხ-ოთხი ნომერი მიიღეს ყველამ, ჩემს გარდა, (ჩემი იქნება ნიალვარმა მოიტაცა და ეორს მისცა!), რომ გეგონებოდა ეს გაზეთი კი არა ლაფიანი იტალიის საწმენდი მჩვარიაო.

ასე გავატარეთ აპრილი. ჩვენ გვეგონა: ეგ არის, გამოიცვლება ამინდი, დღემდი რაც იყო, ეს სულ მარტის ჰუნარით იყო, მაისს ხომ იმასთან არაფერი საქმე არ ჰქონია და არც იქონიებს.

მართლაც პირველი მაისი მშვენიერი დღე გათენდა. მაგრამ შემდეგმა დღეებმა ისეთივე მოქმედება დაიჭირეს, როგორიც აპრილის მოგახსენეთ: ძლივს მზე გამოაჭყეტს, რომ მაშინვე წვიმა მოჰყვება, ერთ დღეს რო ცა მოწმენდილია, მეორეს „ლაპა-ლუპით იცრემლება“! და ასე, თითქო დასჯიბრებიან ერთმანეთს მზე და წვიმაო, პირველი მეორეს ეცილება და მეორე პირველს...

რა თქმა უნდა, რომ ეს წვიმები კარგი და სანატრელია ყოველივე ნათესისთვის და საზოგადოთ, ყველაფრისთვის მეტადრე ისეთ ფიცხ ადგილებში, როგორიც არის ქიზიყი; ყოველივე მოსავალი კარგ შედეგს გვიქადის; ავათმყოფებსა და ჩვენ შუაც კარგი საფარი უნდა იყვეს ეს წვიმები და ამათ გამოგრილი დღეები,—მაგრამ არც ამდენი დაჟინებაა კარგი. „მეტს მეტი ჰეი, ჰეი ხარს უკუღმა წაიყვანსო“ რო იტყვიან, ტყუილი როდია. როგორც ამბობენ ჩვენი გლეხები, ყანა ძალიან სანაქებოა, „ცხენოსანს გაუჭირდება პურში გაელა“, მაგრამ მხარ-თეძოზედ წამოწოლილია და თავთავებში თავ ჩაქინდრულები არიან.

— რაღა მოსავალი იქნება! „ლებუა“ დავთესე, მიწაში დალპა, პურსაც „აპალთია“ ძირი დაულპეს, ვენახია და არც იმას არგებს მომეტებული წვიმა. შარშან თუ წვიმები არ იყო, შვინდის კურკის მსგავსი ხორბალი ვერ გამოვიდა, ვენაცვალე იმის მადლსა!—აი მუშა-გლეხის სიტყვები.

წარსულ წლებში „საღმრთოს იხდიდნენ, რომ „ღმერთო, დაგვნამე, ნამი გვაღირსეო“ და წეროს თუ გადიხდიან—იმ მიზნით, რომ მზის სხივის დანახვა შესთხოვონ. მაგრამ ამ წვიმებში რა ესაღმრთოება გლეხს: ის მომდგარა და დედა-მიწაზედ თავის ოფლსა ღვრის, თითქო წვიმა ვერ გააძღებსო, თუ ჩემი ოფლიც არ მიემატაო.

ჩვენ რო გვეზარება, მკითხველო, კატასავით წვიმაში ფეხის დასველება, აბა ეუყურეთ გლეხს, როგორ ამ „თავსხმაში„ აუკიდნია ზურგზედ რამოდენიმე კონა სვე და მიეჩქარება ვენახში, რომ ის შეჭყელოს. აი, მეორეს დაუჭერია ბარი და გულმოდგინეთ ეჭიდება დედა-მიწას, სთხრის იმას, თითქო ძვირფას მადანს, ან „ხაზინას“ ეძებსო. ზევიდამ წვიმა შეუბრალებლად ესხმება თავზედ და ის გაწუწული ძვლებამდი აშორებს ვაზებს, ან ყანას მავნე რამეებს და თან დაღუღუნებს რაღაცას დაბალის ხმით. ამ იმის ღუღუნში მსგავსი ჰაზრი უნდა იყვეს:

სიმუშაო, სამუშაო
მამეთ, ხელი ვანძრიო!
დაუღლელად, ქვა-კლდე, მიწა,
სულ მთლად გადავანგრიო!

—

სიმდიდრე მხოლოდ ის მიჩანს,
რომ ბეჯიდათ ამ სოფლათ
ვამუშავებ უღლელ ჯანს,
ვაშრომებ, ვსწურავ ოფლათ!

—

არას გარგებს, ჩემო თავო,
უქმად იჯდე! ბანცხრომით
ვერ იცხოვრებ, შე ბედ-შავო,
თვარ მოჰკალ სიყმე შრომით!

—

ნუ დაზოგავ ქორფა სიყმეს,
უსასყიდლოთ ნაბოძარს;
ბაანძრიე ეგ მარჯვენა,
მოუარე მაგ შენს ზვარს!

—

თორე არ გარგებს, ბედ-შავო,
უქმად იჯდე! ბანცხრომით
ვერ იცხოვრებ ჩემო თავო!
მაშ მოჰკალ სიყმე შრომით!

—

სამუშავო, სამუშავო
მამეთ, ხელი ვანძრიო!
ქვა-კლდე, მიწა დაულლელად
სულ მთლად გადავანგრიო!

ნ. ჯ—ი.

# ომის ამბები

## ომის შემდეგ

ნემეცურ გაზეთებში დაბეჭდილია ლონდონიდამ 8 მაისს მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ინგლისის სამხედრო სამინისტროს განკარგულებით ინდოეთის ქალაქებში მადრასში, ბომბეიში, კალკუტტაში და ბომბეიში გაგზავნილია ინგლისიდამ ზარბაზნები და ინჟინერები ამ ქალაქების გასამაგრებელად.

—

რუსის ჯარების სტამბოლზე მიახლოებას, მარტო ოსმალების მთავრობა კი არა, ინგლისიც და ავსტრიაც აუღელვებია. როგორც გაზ. „Times“-ის სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება, თუ კიდევ გამოიწვიეს რუსის ჯარებმა სტამბოლისაკენ, უეჭველია, ყოველი მოლაპარაკება ინგლისსა და რუსეთს შუა იმწამსვე შესწყდება და ომი გამოცხადდებაო. ამავე გაზეთის სიტყვით, ინგლისის ელჩი ლეიარდი პირ-და-პირ ამბობს თურმე, რომ ინგლისი არაფერს არ დაუთმობს რუსეთსა, დათმობას ომი ურჩევნიაო.

—

ბერლინიდამ მოსული ტელეგრამმები გვაცნობებენ, რომ გრაფ შუვალოვმა აქ მყოფობის დროს გამოაცხადაო, რომ ისეთი პირობები და წინადადება მიმაქვს რუსეთის მხრით ინგლისის წარსადგენათაო, რომ სრული იმედი მაქვსო, ინგლისი დაკმაყოფილდება და ამნაირად ომს ავიცილებთ თავიდამაო.

—

სან-სტეფანოდამ იწერებიან, რომ აპრილის დამლეგს იქ მისულა ახალი რუსის ჯარი და ამის გარდა ასამდინ ზარბაზანი მოუტანიათ ადრიანოპოლიდამ. ეს გარემოება აფრთხობს თურმე ოსმალებს, ეშინიანთ, რუსებს განზრახვა აქვთო, რომ უეცრათ დაეცნენ სტამბოლს და აიღონ ეს იმათი სატახტო ქალაქიო.

—

ოსმალეთის ახლანდელი ჯარის რიცხვი: ევროპაში: სტამბოლთან ბოსფორის ორივე ნაპირებზე—100,000 კაცამდინ, თესალიაში—24,000, ბალიპოლში—21,000, შუმლაში და ვარნაში—15,000. მცირე აზიაში: ტრაპიზონსა და არზრუმს შუა—10,000, არზრუმსა და მუშსშუა—10,000. ბათუმში და ციხისძირზე—20,000-მდინ, ამას გარდა ლაზები—10,000.

ამნაირად ევროპაში ჰყავს ოსმალეთს —160,000 კაცი კარგათ გაწვრთნილი და დაიარაღებული და მცირე აზიაში —50,000, სულ 210,000 კაცი.

# საგაასო

## პასუხი უ. ა. ჯიჯინაძესა.

უ. ა. ჯიჯინაძის კორრესპონდენციაზედ ჩემი პასუხის [ბ]უკანასკნელი სიტყვა იყო ესა: ეშმაკებს ღვინო არა ჰქონდათ და რუმბებს ჰბერავდნენ, მეთქი;—და თუმცა ჩემი პიტიეცემული მოპირდაპირე აცხადებს, რომ „ამგვარი ზღაპრული პასუხი პასუხად არ ჩაითვლებოდა“ მის სტატიაზედ, რომელიც საესე იყო ღრმა მოაზრებულ მსჯელობითა, ნოტარიუსში დამტკიცებულ საბუთებითა და სულ ჩოთქზედ ნაანგარიშ ციფრებითა, მაგრამ მაინც დაუნახია საჭიროდ იმ ჩემ ზღაპრებზედ გრძელი განმარტების დაწერა, რომელიც ძლივს დატეულა სამ ნომერშიდა.

უ. ა. ჯიჯინაძე აცხადებს, რომ „ის ჩემი ზღაპრული პასუხი ვერაფერს ვერ არღვევს და ვერც ამტკიცებსო.“

— მე ვეკითხები უ. ა. ჯიჯინაძეს:

— ნეტავი რა გეგულებათ იმისთანა მკვიდრად დამყარებული თქვენს სტატიაში, რომ საჭირო ყოფილიყო ჩემთვის მის დასარღვევათ შეიარაღება და ბრძოლა რაიმე დამამტკიცებელ მოაზრებითა?

ხსენებულ კორრესპონდენციაში უსაფუძვლო ლანძღვის და ცილის-წამების გარდა მე წავიკითხე და ვიხილე მხოლოდ შემდგომი:

... სილით აშენებული სასახლე და ისიც აშენებული სილაზედა...

ასე მკვიდრი ძაჯეთის სიმაგრის დასარღვევად ერთი ზღაპარიც კმაროდა; მაგრამ ნაცვლად ერთისა მე ვსთქვი ოთხი და ხუთი იმ იმედით, რომ უ. ა. ჯიჯინაძეს, რომელსაც ასე გამოუდვია თავი, რომ ძუთაისის სამოქალაქო საზოგადოებას ორი ათასი თუმნის ვალი გარდაუქციეს სულ უკანასკნელ ექვსი ათას თუმნათა, და რომელსაც დაუნახია თავის პატრიოტიკულ ფანტაზიაში ჩემს და საზოგადოებას შუა ჩინეთიდგან გამოტანილი ერთი დიდი, მაღალი და სქელი კედელი, რომლის არსებობას ამტკიცებს შავი მელნითა და ბატის კალმითა,—იმედი მქონდა მიეღო შრომა თითონვე შესულიყო უპრავაში, თითონვე იქ შეეტყო კარგად ამ ძუთაისის შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, თითონვე გამოეკითხა ჩვენი ხაზინადარისთვის, თუ რამდენი ჰქონია ეხლა ძუთაისს თავის დიდ რკინის ზანდუკში შენახული ფული პარკებითა და პაჩკებითა ანუ კეთილ-შეძენილი, და თან რომ შეეტყო ისე ვარაუდით მაინცა, თუ რამდენი დასჭირდე ბოდა იმ, არა თუ უ. ა. ჯიჯინაძისთვის არამედ ყველასთვის სანატრელ სახლის აშენებასა:

იმედი მქონდა, უ. ა. ჯიჯინაძეს რომ ენება ყოველივე ამ საჭირო ცნობების შეტყობა და შეგროება, და ზედ კეთილსინდისიანი დაფიქრებული მსჯელობაცა,—მაშინ თავის თავს მაინც ეტყოდა ამასა.

—„ტყვილად, უსაფუძვლოდ გავლანძღე ფრანგებიო; ტყვილად, უსაფუძვლოდ და უსამართლოდ გავაფრანგე მართლმადიდებელნი ისაკ პურადოვიო და სოლომან ძვარიანიცო; ტყვილად მოვიგონე და გავხადე სიტყვა „ფრანგი“ გასალანძღავ სიტყვათაო, და ტყვილათ მოვიგონე ეს სასაცილო განმარტება, რომ სიტყვა „ფრანგი“ ნიშნავს ჩინეთის კედელსა, რომელიც აღმართულია თუმანიშვილის და მის მსგავს პირების და საქართველოს შუა; მართალი ზღაპრები დაუბეჭდია თუმანიშვილსაო ძუთაისის სამოქალაქო სხდომის გარდაწყვეტილებაზეო; და ურიგო არ იყო, რომ მეორედ გარდავბეჭდე ეს ზღაპრები ჩემს სტატიაშიაცაო და სხვ“...

ამასთანავე იმედი მქონდა, რომ უ. ა. ჯიჯინაძე თავის პირველ კორრესპონდენციას ასე ჩქარა აღარ განაგრძელებდა კიდევ სამ ნომერში სხვა-და-სხვა განმარტებითა და ისევ იმავ უსაფუძვლო საფუძვლებითა, რომლებიც გაგვაცნო ჩვენ თავის კორრესპონდენციაში.

მაგრამ ამაო იყო ეს ჩემი იმედი: მოესტყუედი მე ჩემ ზღაპრების ძალაში და დიდად შევცდი მე ჩემ წინასწარ გულთა-მხილველობის ნიჭიერებაში.

თუმცა უ. ა. ჯიჯინაძეს მართლა მიეღია შრომა და როგორც სჩანს ქვემოაღწერილი გარემოებიდგან, მგონი მისულა კიდეც უპრავაში, მაგრამ საჭიროდ არ დაუნახია არაფრის შეტყობა რაც შესატყობი იყო თავისდა დანაწერის დასამტკიცებლად და ჩემი ზღაპრების დასარღვევად; და არც ჩაუხედია სამოქალაქო საზოგადოების ფულების დიდ რკინის ყუთში, რომ ენახა მაინც რამდენი შეუგროვებია ჩვენს უპრავასა ვალების გასასტუმრებლად მცხოვრებისაგან ქალაქის გადაუხდელი გარდასახადი: არამედ იქ უფიქრია, რომ ამ თავის სილის სასახლის, სილაზედ აშენებულის, დაწვისაგან და ჩაქცევისაგან წინასწარ გაფრთხილებისათვის და განრინებისათვის, უფიქრია, რომ საჭირო არისო სტრახში მივცეო; და კიდეც ეს ასე შეუსრულებია, და წარმოგვიდგინა ჩვენ თავის გრძელ მოთხრობაში ამ სტრახის პოლისი—ესე იგი თარგმანი წინადადებისა, რომელიც ამ ძაჯეთის სასახლის თაობაზედ შემოტანილი იყო ძალაქის რჩევაში... იმას კი გვიმალამს, თუ რამდენათ დაფასებულია ეს საარაკო შენობა.

გარდა ამისა იმ უპრავაში, როგორც სჩანს უ. ა. ჯიჯინაძის წარმოდგენილ საბუთებიდგან, მხოლოდ ის შეუტყვია მას, რომ მე იქ ცოფიანი ძაღლების ხოცვა ჩამიდენია, და ჩამიდენია ეს დიდი ცოდვა ყმაწვილების გულისათვის, რომელნიც ძაღლებით სამსე ქუჩებში დამავალნი არიან თუ სასეირნოდ და თუ პანსიონებში სასწავლებელად.

ესტყუდები, უ. ა. ჯიჯინაძე: ეს მეტად დიდი რამ ცოდვა ჩავიდინე, რომ ქუჩებში მავალი თითო ყმარწვილები უფრო შევიბრალე, ვიდრე მკბენარი და ცოფიანი ძაღლები, და რომ ბენტიზრაბეს ეს ბოროტი სურვილი, რომ, თუ სულ არა, ნახევარი მაინც გაწყვეტილიყო ეს საცოდავი მამულის ერთგულნი ოთხფეხნი პირუტყვნი, ეგრედ საჭირონი ჩვენი ბინძურ ქუჩების გასაწმენდავად...

და ამ ჩემ ბოროტი განზრახულობისთვის, რომელიც სისრულეში მინდოდა მომეყვანა ამ საცოდავი ძაღლების დაბოქვითა და რომელიც აღაც შესრულდა, ყასპების საბედნიეროდ და ჩვენი უპრავის სასარგებლოდ,—დიაღ არა ვარ ღირსი როტემბერგთან შედარებისა,— ისე როგორც თქვენი ახალი გამოგონება სალანძღავი სიტყვისა „ფრანგიო“, და თქვენი პატრიოტული აღსნა და განმარტება ამისი, რომ მითომ ეს სიტყვა ნიშნამსო ჩინეთიდგან გადმოტანილ კედელსა, რომელიც აღმართულია ჩემსა და საქართველოს შუა,—ღირსი არ არის, რომ მისი გამოგონებელი და მისი ამღსნელი შევადარო მოჭრიჭინე ჯიჯინასაცა.

ბოლოვით—ეს სტატიაც ზღაპრებით არის შერდგენილიო. მაგრამ მოგეხსენებათ, ჩვეულება ძნელი რამ არის: საზღაპროამბებს რომ გავიგონებ ხოლმე, არ შემიძლიან მეც ზღაპრულად არ წამოვილაპარაკო. ეერაშიაც ეს ცუდი ჩვეულება მაქვს. მოგეხსენებათ ისიც, რომ ზოგს უყვარს ლანძღვა, ცილის-წამება, ზოგს მოხუცებული და პატიეცემული კაცის მასხარად აგდება, „რომ რატომ რუსული ღრამატიკა აქამომდე არ შეგიდგენიაო,“—ზოგს უყვარს კაცის სავნებლად რაღაებისაც გამოგონება და მერე სხვების დარწმუნება, რომ ბაზარში ამას ასე ამბობენო, მთელი ქალაქი ამას ასე ლაპარაკობსო; და მეც ეს ჩვეულება მაქვს, რომ ზღაპრის გაგონებაზედ ზღაპრის თქმა მიყვარს და ზღაპრულ საბუთიან დაკითხვაზე ზღაპრული პასუხი.

მე მიკვირს, რომ უ. ა. ჯიჯინაქეს, რომელიც არის „არა-ფრანგი“,—არამედ თავის სამშობლოის გულ-დამწველი და გულ-ჩვილი ერთგული შვილი, ის კი შეუტყვია, რომ ჩინეთის სახელმწიფოში კონსტიტუცია არისო და თავის სამშობლო ძუთაისის სამოქალაქო საზოგადოების შეძლების გარემოება, შემოსავალ-გასავლის ყოველწლიური სია, როგორც სჩანს, დღევანდლამდი არც გაუგია და არც წაუკითხია.

მე ვსთხოვ უ. ა. ჯიჯინაძეს, არ დამემდუროს მის გძელ პასუხს რომ ეხლაც ვერ ეუძლვენ ღირსეული საბუთიანი პასუხი; ხოლო როდესაც ის მიიღებს თითონ შრომასა და თითონვე შეიტყობს ყოველივეს, რაც შესატყობია, და თითონვე იანგარიშებს, რაც საანგარიშოა, და შემდგომ ამისა, როდესაც ის წარმოგვიდგენს ჩვენ სწორე ანგარიშზედ და საფუძვლიან მსჯელობაზედ შედგენილ და აშენებულ რამესა, მაშინ ვაძლევ მე პირობასა, დაურღვიო ის, თუ დასარღვეველი იქმნა, თუნდ რომ ჩემ და მის შორის მის პოეტიურ და პატრიოტულ გამოხატულობაში იყოს აღმართული

მალალი და სქელი ჩინეთის კედელი.

მანამდი კი სილით შედგენილ საბუთებზედ დამყარებულის მის მოაზრების, ანგარიშის და მსჯელობის დასარღვევათა ეგონებ ჩემი უხეირო ზღაპრებიც საკმარისი იყოს.

პ. თუმანიშვილი

12 მაისს, ქუთაისი.

# განცხადებანი

## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ 24 მაისს იმის თანადასწრებით გამგეობაში დანიშნულია ვაჭრობა 5 წლით იჯარით მისაცემად ქალაქის საკუთარი მიწისა, სულ 600 ოთხ-კუთხი საქენის, რომელიც მდებარებს მეორე განყოფილების მე-10 უბასტკაში, მტკვრის პირველ ჩასავალთან, ერისთვის სახლის პირ-და-პირ. **სამზღვრები** ამ ადგილისა: ჩრდილოეთით ვორონცოვის წყლის-ნაპირა ქუჩა, აღმოსავლეთითა და სამხრეთით მდ. მტკვარი და დასავლეთით ისარლოვების მამული.

(3—1)

## ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** გამოიხმობს მსურველთა, ვისაც ნებავთ თავის სახლი მიაქირავოს ქალაქს ცხენოსანი ჟანდარმების კამანდისათვის, სამი წლის ვადით. მსურველთა ამ 25 მაისამდინ უნდა გამოაცხადონ ქალაქის გამგეობაში—თუ როგორ ელირება იმათი სახლი წელიწადში. უნდა იყვეს შვიდი ოთახი, ორი სადგომი, ერთი სამზარეულო, ერთი სარდაფი, ერთი სარაია თივისათვის, ერთი კანუშნა 12 ცხენისათვის და ეზო დაახლოვებით 300 ოთხ-კუთხ საქენამდინ....

(3—1)

# ტყავის ქარხანა თფილისში

**დამოქნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირდა-პირ, სახლის № 22.**

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ეჭირებათ, **რომ ამ ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი წაღებისთვის, უნაგირისა, კარეტის და ფაეტონებისა, ჩექმებისა ლანჩა და სხვ.**

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტორაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკვეთოს და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მაღაზიაში, სიონის პირ-და-პირ.

(25—19)

## გამოვიდა და ისყიდება „ოღლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია აღ. თუთაევისა

**ისყიდება:** ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ქუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უფეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერვაძესთან ფოთში—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ზორში—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

**დაიბეჭდა** და ისყიდება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში:

# ბატონისშვილი

## ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა

**გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.**

**ფასი ექვსი შაური**

# ყმაწვილ კაცს

**ზედმიწევნით მცოდნეს ფრანცუზულის ენისას** ჭსურს აძლიოს ამ ენის პრაქტიული და თეორიული **გაკვეთილები.** თუ საჭირო იქნება თანახმაა სოფელში ან სადმე სხვა ქალაქში წაჰყვეს მსურველს, ანუ თვით ქალაქში დადგეს ოჯახში. **ადრესის** შეტყობა „**დროების**“ რედაქციაში შეიძლება.

# ახალი წიგნი

## „ოღლი თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ვასილი აბაშიძისა

**ისყიდება:** თფილისში—ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

**იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა**

# თამარ დედოფალი

ოთხ-მოქმედებიანი ტრაგედია

გადაკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან—„**თამარ საქართველოს ბატონიშვილი**“

კ. მესხისაგან

**ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში**

ქუთაისში—ისყიდება

ქართული წიგნი

# „სამზარეულო“

შედგენილი

კ-ნა ბარბარე ჯორჯაძისაგან.

**ფასი ათი შაური.**

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| ბორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| უვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| უვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| ბორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

| | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| ბორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში, . . . . . | 3 | 75 |

## ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ერთ წიგნის . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

## მაზანდა

| | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 16 მაისს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ. | 1 | 40 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 30 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთ. | 6 | 80 |
| —მარაქამისა ფუთ. . | 4 | 20 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 13 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 81 |
| სპირტი, ვედრო . . | 5 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | 30 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | 50 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

## თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ქიუჩარიანც—ხირურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტონი—ბებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—ქალის და ოპრეხტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Мая 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.